კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

ვერიფიკაციის ანგარიში

2024 წელი

შპს ბარაკონი
LLC BARAKONI

სარჩევი

შესავალი 3

ვერიფიკაციის მიზანი 4

ვერიფიკაციის დიზაინი და მეთოდი 4

რისკ-ფაქტორები 4

შერჩევის მოცულობა 6

მონაცემთა ანალიზი 8

- საქთნო საქმე 8
- ფარმაცია (სააფთიაქო) 12
- ინფორმაციის ტექნოლოგია 14

ძირითადი მიგნებები 16

რეკომენდაციები 17

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესისა და შეფასების ხარისხს. შეფასების სისტემის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები, ხოლო შეფასება - ეს არის შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესი, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. შეფასების პროცესში ფასდება არა პროფესიული განათლების მასწავლებლის მის მიერ გადაცემული ცოდნა და უნარი, არამედ რამდენად ფლობს პროფესიული სტუდენტი ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. სწორედ კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება წარმოაჩენს იმ ადამიანებს, რომლებიც ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ შეუძლიათ, გამოიყენონ საკუთარი ცოდნა და უნარები. ეს გახლავთ შესრულებაზე აქცენტის გაკეთება და მიმართულია იმისკენ, რომ გაამლიეროს შეფასების შესაბამისობა დასაქმების მოთხოვნებთან. კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლებისას, შეფასება მიმდინარეობს შესრულების მტკიცებულებების შეგროვებით სიტუაციის უფრო ფართო სპექტრის გამოყენებით. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. საიმედოობის მოსაპოვებლად კი, ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდურობას;
- სანდოობას;
- გამჭვირვალობას;
- სამართლიანობას;
- ობიექტურობას.

შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.

ვერიფიკაციის მიზანი

ვერიფიკაციის მიზანს გამოყენებული შეფასების სისტემით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება წარმოდგენს, ანუ ფასდება შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თუ არა ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

ვერიფიკაციის დიზაინი და მეთოდი

ვერიფიკაცია ეყრდნობა უკვე შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს. არსებული დოკუმენტები გამოსადეგია შესასწავლი ფენომენის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის. შესაბამისად, მტკიცებულებები წარმოადგენენ მეორად მონაცემებს და ხორციელდება მათი დამუშავება. ვერიფიკაციის შედეგები დროში განმეორებადი ანალიზისთვისაც გამოსადეგია, რადგან მას შეუძლია აჩვენოს, როგორ ვითარდება სიტუაციები დროთა განმავლობაში.

რისკ-ფაქტორები

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით განსაზღვრულია შემდეგი რისკ-ფაქტორები:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში (შპს ბარაკონი) მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში (შპს ბარაკონი) მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად და

მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კერძოდ:

- დაბალი რისკ-ფაქტორი - 1 ქულა;
- საშუალო რისკ-ფაქტორი - 2 ქულა;
- მაღალი რისკ-ფაქტორი - 3 ქულა;
- კრიტიკული რისკ-ფაქტორი - 4 ქულა.

#	რისკ-ფაქტორები	მინიჭებული ქულა	შერჩევის მოცულობა
1	კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	1 ქულა	მტკიცებულებათა 20%
2	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი	1 ქულა	მტკიცებულებათა 20%
3	კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	2 ქულა	მტკიცებულებათა 25%
4	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი	2 ქულა	მტკიცებულებათა 25%
5	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი	3 ქულა	მტკიცებულებათა 30%
6	მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი)	3 ქულა	მტკიცებულებათა 30%
7	კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი	3 ქულა	მტკიცებულებათა 30%
8	დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი	4 ქულა	მტკიცებულებათა 50%

ვერიფიკაციის პროცესში არ მოწმდება ყველა პროფესიული სტუდენტის ნამუშევარი, მაგრამ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ თუ დაფიქსირდა სტანდარტთან მიმართებით გარკვეული შეუსაბამობა ან/და ხარვეზი, შესაძლებელია შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა. კრიტიკული რისკ-ფაქტორისთვის შერჩეულ მტკიცებულებებში გამოვლენილი შეუსაბამობის ან/და ხარვეზის შემთხვევაში, შერჩევის მოცულობა იზრდება 70%-მდე, ხოლო დაბალი რისკ-ფაქტორიდან შემდგომი რისკ-ფაქტორის შერჩევის მოცულობამდე.

შერჩევის მოცულობა

ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, დირექტორის 2024 წლის 31 მაისის N64 ბრძანებით შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფები, რომლებსაც დაევალა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მტკიცებულებათა შეფასება. ვერიფიკაციის ჯგუფში შევიდნენ ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში. ვერიფიკაცია განხორციელდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. გამომდინარე იქიდან, რომ 2023 წლის მიღების ფარგლებში საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არ განხორციელებულა, ამ პროგრამის ფარგლებში შეფასების მტკიცებულებათა ვერიფიკაცია არ მომხდარა. სამი პროგრამის ფარგლებში, შერჩევის მოცულობა განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიდან გამომდინარე. შერჩევას დაექვემდებარა 2023-2024 სასწავლო წელს შემუშავებული მტკიცებულებები.

ცხრილი #1 - მტკიცებულებათა რაოდენობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**მოდულის სახელწოდება**	**მტკიცებულებათა რაოდენობა**
საქთნო საქმე	**2023 წლის მიღების ჯგუფისთვის**	
	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	25%
	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	20%
	ანატომია-ფიზიოლოგია	50%
	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	50%
	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	20%
	ჰისტოლოგია	25%
	2022 წლის მიღების ჯგუფისთვის	
	პედიატრია და მოზარდები	20%
	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	25%
	შინმოვლა	30%
	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	20%
	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	25%
	2021 წლის მიღების ჯგუფისთვის	
	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	30%

	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	30%
	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	30%
	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	30%
	2023 წლის მიღების ჯგუფისთვის	
ფარმაცია (სააფთიაქო)	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	25%
	უცხოური ენა	30%
	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	20%
	პირველადი გადაუდებელი დახმარება	30%
	ბოტანიკა	20%
	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	25%
	2022 წლის მიღების ჯგუფისთვის	
	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	30%
	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	20%
	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	20%
	მორფოლოგია	25%
	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	30%
	მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება	30%
	ტოქსიკური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან ამოღება	20%
	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	30%
ინფორმაციის ტექნოლოგია	**2023 წლის მიღების ჯგუფისთვის**	
	ინფორმაციული წიგნიერება 1	50%
	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	20%

	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	30%
	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	20%
	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	20%

მონაცემთა ანალიზი

ვერიფიკაცია განხორციელდა ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე რისკ-ფაქტორების ჭრილში, შემდგომ კი მან მოიცვა მაღალი, საშუალო და დაბალი რისკ-ფაქტორები და თითოეული პროგრამის ფარგლებში, ერთიან ჭრილში შეფასდა კოლეჯის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია შეფასებები.

საექთნო საქმე

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, შეფასდა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2021, 2022 და 2023 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები. შერჩევის მოცულობის მიხედვით, მოდულის ფარგლებში შეფასდა ყველა სწავლის შედეგის მტკიცებულებები.

პირველ ეტაპზე, ვერიფიკატორების მიერ შეფასდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა. გამოიკვეთა, რომ 2021 წლიდან 2023 წლის მიღების ფარგლებში შეფასებული ყველა მოდულის შეფასების ინსტრუმენტები რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისთვის, რაც შეფასდა. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

გრაფიკი #1 შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი.



მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ თექვსმეტივე მოდულის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილ ყველა კრიტერიუმის მიხედვით. ამასთანავე, ერთ მოდულთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია:

- მოდული „კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა“ - „სასურველია მოდულის შედეგების შესაბამისად შესრულების კრიტერიუმების იდენტიფიცირება. მითითებული სისტემების მიხედვით, დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით“.

გრაფიკი #2 შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით



ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ აბსოლიტური უმრავლესობის შემთხვევაში შეფასების სისტემა სანდოა, რადგან შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. შესაბამისად, თითოეული შეფასებული პირისთვის არსებობს ყველა სწავლის შედეგისთვის მტკიცებულება. ასევე მტკიცებულება ავთენტურია, რადგან შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება.

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ იყო ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. კერძოდ, რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს. წინასწარი ინფორმირება განხორციელდა გონივრული ვადების გათვალისწინებით და იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება. რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი, პროფესიული სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე, პრაქტიკულად ხორციელდება, რაც დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით, ასევე Facebook ჯგუფებით.

გრაფიკი #3 წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით და ფორმით, რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება.



მიღებული შედეგებით ასევე იკვეთება, რომ შეფასების სისტემა სამართლიანია, რადგან შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

გრაფიკი #4 შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით.



აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა უმრავლესობის შემთხვევაში ობიექტურია, რადგან ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული, ხოლო სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული. მხოლოდ ერთი მოდულის ფარგლებში ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირად არაა შეფასებული. ვერიფიკატორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ინსტრუმენტში არასწორი პასუხი ჩათვლილია, თუმცა შედეგზე ეს გავლენას არ ახდენს.

გრაფიკი #5 ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული.



ვერიფიკაცის დასკვნებით, ერთი მოდულის ფარგლებში ვერიფიკატორებმა გააკეთეს შენიშვნის სახით შემდეგი კომენტარი:

- მოდულში „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ I, III და IV შედეგში პასუხების ფურცელზე დაფიქსირებული პასუხები არ ემთხვევა ტესტის პასუხებს.

ფარმაცია (სააფთიაქო)

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, შეფასდა ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2022 და 2023 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები. შერჩევის მოცულობის მიხედვით, მოდულის ფარგლებში შეფასდა ყველა სწავლის შედეგის მტკიცებულებები.

საერთო ჯამში, 2022 და 2023 წლის მიღების ფარგლებში, ვერიფიკატორების მიერ შეფასდა 14 მოდულის მტკიცებულებები. ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისთვის, რაც შეფასდა. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. ამასთანავე, ერთ მოდულთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია:

- ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები - „უმჯობესია KMnOu ჩანაცვლდეს სხვა ნივთიერებით“.

გრაფიკი #6 მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.



ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის საფუძველზე, ასევე იკვეთება, რომ ყველა მოდულის შემთხვევაში

შეფასების სისტემა სანდოა, რადგან შეფასების შედეგები გამყარებულია საათანადო მტკიცებულებებით. შესაბამისად, თითოეული შეფასებული პირისთვის არსებობს ყველა სწავლის შედეგისთვის მტკიცებულება. ასევე მტკიცებულებები ავთენტურია, რადგან შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება. შეფასებული 14 მოდულიდან მხოლოდ 1 მოდულის "ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები" ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების შეფასებისას ვერიფიკატორმა გამოკვეთა, რომ მტკიცებულებები არ არის საკმარისი, რადგან მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელი არ არის დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება. გაიცა რეკომენდაცია მე-7 და მე-8 შედეგების გადახედვის.

14-ვე მოდულის ფარგლებში არსებული მტკიცებულებებით იკვეთება, რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. კერძოდ, რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს. წინასწარი ინფორმირება განხორციელდა გონივრული ვადების გათვალისწინებით და იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება. რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი, პროფესიული სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე, პრაქტიკულად განხორციელდა, რაც დასტურდება პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირებით.

გრაფიკი #7 რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი, პროფესიული სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე, პრაქტიკულად ხორციელდება.



მიღებული შედეგებით იკვეთება, რომ ყველა მოდულის შემთხვევაში, შეფასების სისტემა სამართლიანია, რადგან შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

გრაფიკი #8 შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია.



შეფასების სისტემა ობიექტურია, რადგან ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირადაა შეფასებული, ხოლო სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული.

ორი მოდულის ფარგლებში ვერიფიკატორებმა გააკეთეს კომენტარი შენიშვნის სახით:

- მოდულის „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ მე-6 სწავლის შედეგის ინსტრუმენტში, შეფასების პროცესის აღწერაში მითითებულია AC გარემო. აღნიშნული სწავლის შედეგი განკუთვნილია C გარემოსთვის.
- მოდულში „პირველადი გადაუდებელი დახმარება“:
  - მე-4 და მე-5 შედეგში სიტუაციურ პრაქტიკულ დავალების აღმწერ ცხრილში პაციენტის ვიტალური პარამეტრები აღწერილია არასწორად;
  - დავალების შეფასების კრიტერიუმი რიგ შემთხვევაში არ იძლევა დადებითად შეფასების საშუალებას;
  - დადასტურების პირობები მიზანშეწონილია გადაიხედოს.

ინფორმაციის ტექნოლოგია

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე 2023 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტების შეფასება განხორციელდება. ვერიფიკატორების მიერ შეფასდა 5 მოდულის ფარგლებში არსებული მტკიცებულებები. შერჩევის მოცულობის მიხედვით, მოდულის ფარგლებში შეფასდა ყველა სწავლის შედეგის მტკიცებულებები.

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა. ყველა მოდულის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც შეფასდა. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. ვერიფიკაციის დასკვნებით ასევე იკვეთება, რომ შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილ ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

გრაფიკი #10 შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.



მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების სისტემა სანდოა, რადგან შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. შესაბამისად, თითოეული შეფასებული პირისთვის არსებობს ყველა სწავლის შედეგისთვის მტკიცებულება. ასევე მტკიცებულება ავთენტურია, რადგან შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება. მტკიცებულება საკმარისია, რადგან მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება. ასევე, მტკიცებულება ვალიდურია, რადგან ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.

გრაფიკი #11 მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება.



შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. კერძოდ, რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს. წინასწარი ინფორმირება განხორციელდა გონივრული ვადების გათვალისწინებით და იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება. რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი, პროფესიული სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე, პრაქტიკულად განხორციელდა, რაც დასტურდება ინტერვიუირებით და Facebook ჯგუფით.

გრაფიკი #12 პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შეფასების პროცესისთვის მომზადება, რადგან წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით.



მიღებული შედეგებით იკვეთება, რომ შეფასების სისტემა სამართლიანია, რადგან შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული. შეფასების სისტემა ასევე არის ობიექტური, რადგან ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული, ხოლო სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული.

ძირითადი მიგნებები

ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ:

- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტურია.
- საქართველო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი მოდულის ფარგლებში არსებული მტკიცებულებების ვალიდურობის შეფასებისას გაიცა რეკომენდაცია - „სასურველია მოდულის შედეგების შესაბამისად შესრულების კრიტერიუმების იდენტიფიცირება. მითითებული სისტემების მიხედვით, დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით“.

- საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ I, III და IV შედეგში პასუხების ფურცელზე დაფიქსირებული პასუხები არ ემთხვევა ტესტის პასუხებს.
- შეფასების სისტემის ობიექტურობა ეჭვქვეშ დგება მხოლოდ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი მოდულის - „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ ფარგლებში, თუმცა ამას პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო შეფასებაზე გავლენა არ მოუხდენია.
- სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ იყო ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.
- სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შეფასების სისტემა სამართლიანია, რადგან შეფასების პროცესი ორგანიზებული იყო იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევდა შესაფასებელ პირს დაედასტურებინა სწავლის შედეგები.
- ორი ვერიფიკატორისთვის შეფასების სისტემის ობიექტურობის შემოწმებისას ინდიკატორი გაურკვეველი და ორაზროვანი იყო.
- ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ :
    - მე-4 და მე-5 შედეგში სიტუაციურ პრაქტიკულ დავალების აღმწერ ცხრილში პაციენტის ვიტალური პარამეტრები აღწერილი იყო არასწორად;
    - დავალების შეფასების კრიტერიუმი რიგ შემთხვევაში არ იძლეოდა დადებითად შეფასების საშუალებას;
    - დადასტურების პირობები მიზანშეწონილია გადაიხედოს.
- ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ მე-6 სწავლის შედეგის ინსტრუმენტში, შეფასების პროცესის აღწერაში მითითებული იყო AC გარემო, როდესაც აღნიშნული სწავლის შედეგი შეფასებისთვის განკუთვნილია C გარემო.
- შეფასების სისტემის სანდოობა ეჭვქვეშ დგება მხოლოდ ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი მოდულის „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ ფარგლებში. გაიცა რეკომენდაცია გადაიხედოს მე-7 და მე-8 სწავლის შედეგები.

რეკომენდაციები

ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების საფუძველზე, შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში რეკომენდაციები.

- შენიშვნის სახით გაცემული რეკონმენდაციების გათვალისწინებით გადაიხედოს მოდულის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შეფასების ინსტრუმენტის როგორც ზოგადი, ასევე შინაარსობრივი ნაწილი. ასევე, სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ

ყურადღება გამახვილდეს შეფასების ინსტრუმენტის სწორად შეფასებაზე.

- შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, მიზანშეწონილია მოდული „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ ფარგლებში, გადაიხედოს ინსტრუმენტის შინაარსი.
- მოდულის „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“, ფარგლებში გასწორდეს შეფასების ინსტრუმენტებში არსებული ტექნიკური შეუსაბამობა. კერძოდ, შეფასების პროცესის აღწერაში დაკორექტირდეს სწავლის შედეგისთვის განკუთვნილი გარემო.
- ვერიფიკაციის დასკვნის ფორმაში, ვერიფიკატორების მიერ, შენიშვნის სახით გაკეთებული რეკომენდაციებისა და ერთ-ერთი ინდიკატორის ორაზროვნად აღქმის გათვალისწინებით, სასურველია გადაიხედოს ზემო აღნიშნული ფორმის შინაარსი და ინდიკატორთა ფორმულირება.